ბრძანება:**ბ28. 282602327**
თარიღი:**23/01/2026**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის, 86 [1] მუხლის პირველი ნაწილისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა) მანუჩარ რობაქიძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი - საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) ქრისტინე ბარბაქაძე - მერის თანაშემწე- საბჭოს მდივანი;

გ) მაია შარიქაძე - (ექიმი)- საბჭოს წევრი;

დ) მევლუდი გეწაძე - ადგილობრივი მეწარმე/ბიზმესმენი -საბჭოს წევრი;

ე) ელისო მურადაშვილი - სკოლის დირექტორი, მეწარმე -საბჭოს წევრი;

ვ) შალვა ჯიშიაშვილი -აგრომაღაზიათა ქსელის „ბარაქა“-ს პიარ- მენეჯერი- საბჭოს წევრი

ზ) ალექსი ცქიფურიშვილი- ადგილობრივი ბიზნესმენი- საბჭოს წევრი;

თ) გიორგი თურქაძე- თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურის -შრომის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი- - საბჭოს წევრი;

ი) მარიამ ბუსკივაძე -სტუდენტი -საბჭოს წევრი;

კ) ლია ჩხიკვაძე - სკოლის დირექტორი -საბჭოს წევრი;

ლ) სოფიო ბუსკივაძე - (ექიმი)- საბჭოს წევრი;

მ) ზურაბ აბესაძე -ადგილობრივი ბიზნესმენი -საბჭოს წევრი;

ნ) სულხან სამხარაძე - ბიზნესმენი-საბჭოს წევრი;

ო) ნინო ბოგვერაძე - ექთანი- საბჭოს წევრი;

პ) თეა მიმინოშვილი - თერჯოლის მუნციპალიტეტის სოფელ საზანოს იუსტიციის სახლის

მენეჯერი- საბჭოს წევრი;

მუხლი 2. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება N1 დანართის შესაბამისად;

მუხლი 3. საბჭოს სხდომის ორგანიზების, სხდომის ოქმის შედგენის, გაფორმების და სხვა ორგანიზაციული ფუნქციების განსახორციელებლად საბჭოს მდივნად დაინიშნოს -მერის თანაშემწე - ქრისტინე ბარბაქაძე.

მუხლი 4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 21 მაისის ბ28.282114114 ბრძანება;

მუხლი 5. ბრძანება ჩაბარდეს მრჩეველთა საბჭოს წევრებს;

მუხლი 6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

მუხლი 7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მანუჩარ რობაქიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი